

# კ ვ ა ლ ი



საოლიბიო, სამეცნიერო და სალიბერატორო ნახაბზიანი ზაზაის ზამოდის ქოქალ კვირა დღეს

№ 7 თ ი ბ ე რ ვ ა ლ ი 9 1897 წ. № 7

შინაარსი: ალკანის ძველი ნაშთბა (დასასრული) დ. ალბ ნელსა. — სხვა-და-სხვა ამბავი. — ევალის კორესპონდენციები. — ალანს, ლექსი, კნ. ნინო ორბელიანისა. — ტრანსე ალ-ს რესპუბლიკა. — ნიკოლოზ პარაშვილი და მისი დრო (წერალი მესამე) რომლეოსა — პოდკოეური პარტიები ტერმინაში (შემდეგ), ნ. უ—სი. — რაი ვილერი, ლექსი განდგლისა. — დაგომელებ ზენში, მორცხვი კალისა. — მკრობები ანუ ბეცილები (შედეგი), გ. ბაღრაძისა. — ზენი სახიობა. — ნამდვილი ამბავი, ში-ს ქალისა. — განცხადებანი.

## ალკანის ძველი ნაშთბა. (საკვლესიო ისტორიის მასალა \*)



ბლო ვადვიდეთ მეორე ეკლესიის აღწერაზე. ეს ეკლესია, როგორც ეთქვით, იოანე ნათლისმცემლის სახელობა აშენებული და მდებარეობს უკვე ცნობილ ტყიან ქედის ბოლოში, ხოლო სამების ეკლესიის აღმოსავლეთით, დღეს ნათლისმცემლის ეკლესია სოფლიდანაცა ჩანს, რადგან აქაც ტყე სრულებით გამოკაფულია. ეკლესიის გარ-

შემო ვალაენია შემოვლემული. ჩანს, რომ ერთ დროს ვალაენის კედელი მაღალი ყოფილა და სიმაგრის გულისათვის აუშენებიათ. როგორც ეკლესიის ეზოში, აგრეთვე გარეთაც აკაკის მრავალი ხეა მოყვანილი, სხვათა შორის, როგორც გამძლე მასალა სახეტყედ. ეზოში ეზოულობთ ქვევრებს და ერთი შენობის ნანგრევებს, რომლის დანიშნულება დღეს არა ჩანს. ჩვენ გვახსოვს, რომ ეკლესიის ახლოს, გამოსავლის წინ, სრულებით ცალკე იდგა ერთი სვეტი, რომლის დანიშნულება არაფერს იცოდა. ერთ დროს (უთუთ ბნელ დამეს) ეს უცნაური და გარეგნობითი უმნიშვნელო შენობა გაჰქრა. მას აქეთ კარგა ხანია, როგორც შემდეგ გავიგეთ (ბორბოტი ენა რას არ იტყვის!), ერთ თუშს მოუღსია სვეტის არსებობა: ყისმათის მამებარს სვეტის ძირში ბევრი ფული გონებია ჩაფლული. ფული — იმე ლაპარაკიდან — ეგრე აღმოუჩენიათ; ხოლო სვეტის ძირში ყოფილა (დღეს არა ჩანს და არც გინახავს) აუზის მგზავსი მოშენებული ადგილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წყობის წყლის შესაგროვებელი ადგილი იქნებოდა, და რომ მტერს არ გავოცო ეს საიდუმლო, ზედ ააშენეს ხსენებული სვეტი. იმასაც ვფიქრობთ, რომ ეზოში ჩაუღწერილი

\*) ი. ს. კვალი \* № 6.

ქვეყრებს ორი დანიშნულება ექნებოდათ: თუ ზოგიერთ ქვეყრებში ზედაშეს და სხვა საკურობისათვის ღირნოს ინახავდნენ, უქვევლია, სხვებში ინახავდნენ წყალს. ფეიქრობთ ყველა ამას აი რისთვის: ეკლესიას ახლო წყალი არა აქვს. წყალი მიადის (ალაზნიდან გამოყვანილი რუქ) ქედის ძირში და წასვლა-მოსვლას დასკირდება არა ნაკლებ ერთი საათისა. წყლის ამისთანა სისურავ აძიულებდა ეკლესიის მსახურებს, რომ ამათ ახლო გაეჩინათ წყალი, რადგან მაშინდელი ღრო ნებას არ აძლევდა თავისუფლათ ეხილნათ. ეს ადგილიც არ არის მოკლებული გულის გასართობს: აქედან მთელ კახეთს ისე გადაჰყურებს კაცი, როგორც თავის ხელის გულს; აქედანვე ჩანან კავკასიის დიდბარი მთებიც...

თეთრ ეკლესია საკმარისათ მაღალი და დიდი შენობაა. უმეტეს წილათ კრიანის სხვა-და-სხვა ფერის ქვა უხმარიათ შენობაში; დანარჩენი მასალა — აგურია. ეკლესია იმდენათ დაძველებულია, რომ ზედ ხეები ამოსულა; რასაკვირველია, უპატრონობის გამოც. სიძველისავე გამო ეკლესიის აღმოსაფლეთის კედელი ორგან არის დიდათ დამსკარი; ეკლესიას ასუსტებენ აგრეთვე ზედ ამოსული ხეებიც; ამით ფესვები კარგა ღრმით ჩაღის შენობაში და კედლებს აქეთიქით სწევნ. ზამთრობით, კარგ ამინდის დროს, თოვლი დნება, და წყალი გროვდება — დახეთქილებში. დღეს თუ ხეალ ამ წყალს გაყინავს; ვინაჟღერ აქეთიქით ეწევა კედლებს... ბევრი ხანა აღარ დასკირდება და ეს სამი მიზეზი — სიძველე, ხის ფესვები და წყალი ბოლოს მოუღებენ ამ ტაძარს.

ეკლესიას ეიწრა ზე გველი ფანჯრები აქვს, ხოლო მოკლებულია გუმბათს. სანამ ადამიანი მიადწევდეს შიგ ეკლესიაში, უნდა განვლავს ერთი ოთახი, რომელიც არის რვა კუთხიანი ზე კუბიკური ფორმისა ზე აშენებულია პიტალო აგურისაგან. ამავე ოთახზე აშენებულია მაღალი და რვა კუთხიანი გუმბათი, რომელიც, როგორც ჩვენა ფეიქრობთ, სამრეკლოს სამსახურსაც უწევდა. ეკლესიას სხვა სამრეკლო არ უნანს, და ოთახსაც მაღლა, გუმბათში, ასასვლელი ადგილი აქვს, ასე გასინჯეთ, რომ სამრეკლო საუთხოლო ადგილში იყო მოქცეული: შიშის დროს, როდესაც ეკლესიის კარს მოადგებოდა შეუზრავლებელი მტერი, მლიცველ მოძღვრებს არ მოაკლდებოდათ ზარის გლოვის ხმა, რათა აღეპყრათ თვალნი თვისნი და ელოცნათ სამშობლოს მტრისაგან დახსნისათვის... ამ კუბით ამ ოთახში ერთი მტერი ცელილება მომხდარი; ვილაცას ახლოთ ბუნარი აუშენებია. მე მითხრეს — და ეს მართალიც არის, — რომ ერთი ახალგაზდა თუშუ ბერობას აპირობსრა და მთელი ზამთარი აქ დაჰყოია.

ეკლესია კმარით არის შეკრული; ეს კმარა

უჭერია ქვეთიკრის ოთხ სვეტს. როგორც ეს სვეტები, აგრეთვე კედლებიც მხატრობით სავსეა. სურათებზე ზოგი წარწერა ქართულია — ასო მთავრული ქარავით, ზოგი ბერძნული. საკურთხეველის უმთავრესი კედელი რველათ არის მოყვანილი; საკურთხეველს ორივე მხარეს ორი პატარა ოთახი აქვს. საკურთხეველში, როგორც მუდმივი მისი კუთვნილება, არის ქვეთიკრის ამაშენებელი ტრაპეზი. აქ არის შემდეგი ნახატო სურათები: კედლის შუა გულში ფანჯარა და ამის მარცხნივ ხატია: იორდანეს მგზავსში ოვლლის სამოსელში დგას ვილაც წმინდანი; წინ უდგას სეფისკერიანი თევში, საიდანაც ექვს წმინდანს ურიგებს მას; მარჯნივ ისეთივე იორდანეა დახატული. ხოლო შიგ ვინ არის დახატული, ვერ გავიგეთ — წაშლილია და კარგათ ვერა ჩანს. ამ წმინდანს ხელში უჭერია ბარძიმი და წინ უდგას ექვსი წმინდანი. შეიძლება, რომ ეს ორივე სურათი მაცხოვარს ეკუთვნოდეს, და წინ მდგომნი კი მისი მოციქულები იყვნენ. ამ მხატრობის თავში მეტათ დიდათ დახატულია ღეთის-მშობლის სახე, და თუ მხედველობა არ გვატუილებს, ხუთი არშინის სიმაღლე უნდა იყოს. ის ადგილი, სადაც ეს სურათი მოათესებულია, წარმოადგენს გუმბათის მეთხედს. ღეთის-მშობელს ორივე მხარეს უდგანან ანგელოზები. საკურთხეველის აწერილი სურათებ ქვეშ ორი მხატრობაა. ერთ მხრივ ნახატე წმინდანებს აქეთ წარწერა, ხოლო მეორე მხარე უწარწერია. წარწერანი გვეუბნებიან, რომ წმინდანებ შორის არიან: წმიდა დიონისე აროპაგელი; წმიდა ნიკოლოზ; წმიდა გრიგოლ; წმიდა იოანე ოქროპირი. საკურთხეველის წინა კედლებზე (ეკლესიის მხარეს) წერილი ნახატებია და კარგათ ვერა ჩანს. მარცხნივ, იმავე რიგობაზე და განაპირას, დახატულია ექვს ფრთაანი ანგელოზი, რომელსაც ხელში უჭერია შუბი. საკურთხეველისა და მარცხენა სვეტ შუა კმარაზე ორი ნახატია; ხელში უჭერიათ ჯვრები და ზედ აწერია: წმიდა არტემი; წმიდა ვიკენტი; წმიდა ანტონი. ამ უკანასკნელს ხელში უჭირავს ეიწრა და გველი ქალაღი ბერძნული წარწერით, სვეტებზე დახატულია ორი ახალგაზდა მეომარი ფარ-შუბით და ბერძნულ ქალამნებში. აწერია: წმიდა დიმიტრი; წმიდა გიორგი. შემდეგ მოხუცის სახეა: წმინდა საბა. კედლე არიან წმინდანები: სარგის, ეთიმი, ბაქო 1) და სხვ. აქვეა დახატული ერთი უც-

1) ეველა ამისთანა წარწერანი ასო-მთავრულია არის ნაწერა, ვარაი რეკორდ წიხთაღ ითქვა არ. ქუთათე-ღამე.



ნაური მოხუცი: სრულებით ტიტველა, ბაღნით შე-  
 მოსილი ტანი და გრძელი, დარეხილი ფეხებამდის  
 წვერი; მოხუცს აწერია: წმ. მაკარი. ერთი დიდი სუ-  
 რათი წარმოადგენს ქრისტეს მოწაფეებს, რომელნიც  
 სხედან ნახევარ—წრეთ აჭრელებულ სკამზე და ღრმა  
 ფიქრი ეტყობათ. ამ სურათის თავში შემდეგი მხატვ-  
 რომბა: შეკრებილი ხალხს ქრისტე უჩვენებს ხელთ  
 გამოქვაბულზე, საიდანაც გამოიდა აღდგენილი ღამა-  
 რე; შორიდან მოჩანს შეწვირათ დახატული სახლი,  
 რომელიც თავდება მწვეტანებით. ქრისტეს აწერია:  
 (ბერძნულათ, რომელიც ევრ გავარჩიეთ.); ხოლო მთელ  
 სურათს დაქარაგმული ასო-მთავრულით: ლახარეს აღ-  
 დგენა. ამის პირდაპირ ნახატი კარგათ ევრ გაიჩნევა; ბნე-  
 ლა ზე წამლილიც არის; კარგათ გაიჩნევა სახლები. ზედ  
 ბერძნულათ აწერია: (აქაც ევრ გავარჩიეთ) ეკლესიის  
 დასავლეთ კედელზედაც ბევრი ნახატია მაგრამ ჩვენ  
 ყურადღება მივაქციეთ მათ შორის ერთს. ტახტზე  
 ასენია მიცვალებული ღვთის შვილები; გარს ახვევია  
 ბევრი ხალხი. ამ სურათის ერთი კერძობა კიდ  
 იპყრობს ადამიანის თვალს: ტახტის წინ შემოკლ-  
 ბული ზომით დახატულია ადამიანი, რომელსაც  
 ხელში უჭირავს მხებილი და ვილაცის ემუქრება; წინ  
 უდგას დაჩოქილი და ხელ-წამოწეული სხვა ადამი-  
 ანი... დღეს მთელ ეკლესიაში ერთათ-ერთი მოძრავი  
 ხატია. სურათი ნახატია ნახევარ-არშინიან ტილოზე  
 და მიკრულია ფიქარზე. ამ სურათის შინაარსი:  
 თეფშზე ძვეს იოანეს თავი, მაცხოვარი ამ თავზე ვი-  
 ლაცს თითით უჩვენებს. ეს ხატი ერთთ ერთი ი-  
 შანია იოანესი ამ ეკლესიაში. დასასრულ ამ ეკლ-  
 სიის აწერისა უნდა ეთქვას, რომ მხატრობა ნესტო-  
 საგან დღე-ღღებე ფუქლებს; სამხრეთ კედელზე ბევ-  
 რი აღარა ეტყობა რა; გარდა ამისა ბევრი ხატებია  
 გაუფუჭებული მტრის ხანჯლისაგან: ზოგს თვალები  
 აქვს დათხრილი, ზოგს მოჭრილი მკლავი; ფეხი...

იოანეს ეკლესია, ჩვენა ეფიქრობთ, მონასტრათ  
 ყოფილა; ამ ჩვენ აზრს ამტკიცებს, სხვათა შორის,  
 ერთი შენობა, რომელსაც ალაგობრივი მცხოვრებ-  
 ნი ცსკარ-კარას ეძახიან. ეს ძალიან დიდი შენობაა;  
 თუმცა დღეს კედლები ოთახებთ არ არის დაყოფი-  
 ლი, მაგრამ ერთგან კედლის ძირი ისევ ეტყობა.  
 ოთხი კედელი საქმათ კარგათ შენახულა. კედლებ-  
 ში სწორეთ რომ ცხრა კარია გამოყვანილი (დიდ-  
 რომნი შესავალ-გამოსავლებია). შენობა დგას ტიან  
 მანის ბოლოში, ხოლო ეკლესიიდან ორას ნახივის  
 მანძილზე. ამ შენობაში, როგორც ჩვენ ვეახსოვს,  
 ქვევრები იყო, მაგრამ წლეულს ევრა ეხოვეთ რა:  
 უნდა ეფიქროს კაცმა, რომ მიწას დაუფარავს (ძა-  
 ლიან აბალახებულნი იყო). ცხრა-კარას და იოანეს  
 ტაძარს შუა ადგილში პატარა-პატარა შენობების ნან-

გრეცები ჩანან; ამავე ადგილში, უფრო დიდ შენობის  
 ახლოს, ქვევრებსაც ეხოვლობთ. ეახუშტის თავის  
 გეოგრაფიაში აქვს დასახლებული მონასტერი „ცხ-  
 რა-კარათ წოდებულნი“, მაგრამ ჩვენ მის აღწერიდან  
 მონასტრის მდებარეობა ევრ წარმოვიდგინეთ. იქნებ  
 ეახუშტის ცხრა კარა და ალაგის ცხრა-კარა ერთი-  
 და-იგივეა?.. ცხრა-კარას აღწერიდან კაცს თვალ-წინ  
 ემუღება შეწვირით სურათი; ადამიანი ხედავს ეველა  
 ადგილებს, დაყოლებული ვრწო-თიანეთიდან თუქურ-  
 მიშამდის (ბატონის წყლები), შემდეგ მხედვლობა  
 იკარება შირაქის თვალ-გაუწვდენელ მინდვრებში...  
 ცხრა-კარა აგრეთვე ვადაყურებს დიდი შენობების  
 ნანგრევებს, რომელნიც ძვეან ალაგის პირას, ხო-  
 ლო სამების ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ  
 შენობებს ხალხის ზებირ-გამოცემა თამარ მეფეს აკუ-  
 თენებს: ერთი დიდი შენობის ნანგრევებაა—ეს სა-  
 სახლე ყოფილა, მეორე შენობას ისევ მთელს—სა-  
 სახლის ეკლესიათ უწოდებენ, მესამეს სახანო შე-  
 ნობათ თვლიან. დიდი შენობა მეტათ მალაია და  
 ალაგის მხრადან ქეთიკარის კიბის საუფრობრე დღე-  
 საც ეტყობა; ამ შენობიდან იწყება დანგრეული  
 კედლის ძირი და მიიძარება ცხრა-კარასკენ, რომე-  
 ლიცა როგორც ითქვა, დგას მალალ ქედზე. ხალხს  
 მეტათ უყვარს თამარ დედოფალი: მთის ზოგი-ერთ  
 ჩვენ ხალხს წმინდანთ ყვეთ მიღებული. სწორეთ ამი-  
 სთანა გარემოებამ,—გაებედეთ ჩვენ,—დაბადა ის ლე-  
 გენდა, ვითომ სასახლიდან ცხრა-კარამდის ყოფილა  
 აშენებული მალალი კედელი, და ამ კედლთ უფოლა  
 თამარ დედოფალს იოანეს ეკლესიაში სალოცავათ.

2) თამარ მეფეს მიწაზედაც აღარ ატარებენ?!

თეთი სამების ეკლესია 3) მეტათ დიდი და მა-  
 ლალი შენობაა და სოფლის შუაში დგას; ეს უთო-  
 ოთ საქრებულო ეკლესია იქნებოდა ერთ დროს.  
 ეკლესიას მხატრობა ჰქონდა თუ არა არ ვიცით:  
 დღეს არა ეტყობა რა. სამების ეკლესია აშენებულია  
 იმავე გეგმაზე, რა გეგმაზედაც აშენებულია სტეფან  
 წმიდის ეკლესია სოფ. ხირსაში (სიღნაღ. მაზ.), წმი-  
 და გიორგის ეკლესია აწყურის (თელავ. მაზ.) თავში  
 და სხვ. როგორც ეტყობულობთ ჩვენ ისტორიიდან,  
 სამების ეკლესია თამარ მეფის დროს ეკუთვნის, ალ-

3) ეს თქმულაჲ წააგავს მესეთის ერთ თქმულასს,  
 რომელიც მოკეთებულა, რომ მესეთიდან წმინდანებს  
 ჟაჭვით უწავით სვეტის-გნოკულში...


4) ადგომის მესამე დღეს მრავალი ხალხი თავს  
 იყრის აქ; იოანეს ტაძარში აკრებიან ხალხი მხოლოთ  
 ერთ დღეს ადგომის მეორე დღეს; ღვთის-შრობის  
 ეკლესიაში ხალხი დიანება მხოლოთ ადგომის პირველ  
 დღეს, თითო-ორჯად ადამიანს.

ენის მიღამებში კიდევ მოიპოვება არა ერთი ნაწერევი, მოწამე ჩვენის წარსულისა. ერთი სიტყვით, აღინათ მტკათ საინტერესო ადგილია ამ მხრით...

რა თქვენი საქმეა ეკლესიების აღწერაო, იფიქრებს სკეპტიკი—მკითხველი, როდესაც ამ წერილის კითხვას დამთავრებს, თუ ბოლომდის წაიკითხა, რა საკითრეელია. ამაზე მკვარზე არ დაუფლდებოთ და მოჩრჩილებით ხელს მოუწერთ: ეკლესიების საქმეში ჩვენ ბევრი არა გვემისრა, მაგრამ მუხუხდავით ამისა უნდა ცოტათი მიიწ თავი ვიშართლოთ, ჩვენ ერთი ზნე გვქირს; რომლითაც ცხადათ ვამტყცებთ, რომ თათქარიძესთან ერთი ჯიშისანი ვართ: თათქარიძეს ძალიან ეჯავრებოდა თავის სოფლიდან გარეთ გასვლა; ეს სიზარმაცე ჩვენც დავგეჩებებია და ვერ მოგეხერხებია, რომ ეს ჩვენი ზოხისი ოდენა ქვეყანა შევისწავლოთ საქროების მიხედვით (თუ გინდ სხვადასხვა ცოდნის გაცრკელენისავესი) ყოველის მხრივ; დღემდის ესარგებლობთ,—სხვათა შორის, იმსთანა ნაწერ წყაროებით (თუ გინდ ვახუშტიც), რომელნიც შეცდამებით საყვია, სწორეთ ამის გამო, რომ აქამდის ამ აღწერილ ნაშთებზე მხოჯნე პირს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, ჩვენ ვიკისრეთ ეს საქმე დროების მიხედვით და ამაზე მტერი მიზნათ არც გვქირსა. ჩვენა ფუჭრობით, რომ ეს ძველი ნაშთები აუწერელი დარჩებოდა, და, მამსადამე, ჩვენ ისტორიას დააკლდებოდა ზოგიერთი ფაქტები, რადგან დროთა ვითარებაში დაკარგებოდა წარწერანიც და მხატრობაც წაიშდებოდა; ვფიქრობთ იმასაც, რომ ამ მკირე წერილით აღფუძრათ სურვილი რომელიმე მკოდნე პირს, რომელიც ალაგობრივ შესწავლის ამ ნაშთებს და შეუკაშმირებს ისტორიის დანარჩენ მასალას. იქნება მკითხველთა შორის იყოს იმისთანა პირი (ეს უფუქველათ მოსალოდნელია), რომელმაც მოამცეს ასეთი კითხვა: რასაკრთა ეკლესიების აღწერა, ისიც ნანაკრეებისო? ამისთანა მკითხველს მიეცემთ მკირე პასუხს, არა ახალს. ეკლესია რუჯულის საქმეს ადგას: იგი განმარტებს სარწმუნოების მიმართულმებს, აერკელებს და ამკედრებს მას. რელიგიურ სწავლას, სარწმუნოებას ადამინანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ქჰანდა და აქვს კიდევ. მამსადამე, ჩვენ ვკლესიას ჩვენ ცხოვრებაზე თავისი გავლენა ქჰანდა და თავისებური დღი დასევა, და დღესაც ამ გავლენის ქვეშ ვიძყოფებით. ამაზედ ყველას ნება აქვს თავისებურათ იფიქროს, მაგრამ რომ გავლენა იყო და არის ეს ქვეშაირიტება... საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ამისთანა და შრავალ სხვა გარ ფაქტებიდან შესვლას ისტორიის მასალა, და თუ აქამდის ჩვენი ისტორია არ დაიწერა, ამის მიზეზთა შორის არაუკანასკნელი ად-

გილი უტკირავს მასალის სიკოტავეს და გამ ურკვევილობას. ამ სათვის ყველა ვალდებულია (თუ შემთხვევა ნებას მისცემს), რომ, რაც კი შეეხება ჩვენი ისტორიის წარსულს, გავმოსცეს სტამბას. ამით ჩვენ ვასრულებთ მჭირე მოვალეობას.

დ. აღბანელი.



სხვა-და-სხვა ამბავი.

**ქ**ვენ მოგივიდა ბ. ი. როსტომაშვილის მიერ გამოცემული ალბომი „ქართელოთა ტომი“. დიდი მადლობის ღირსია პატრონი როსტომაშვილი ამ შრომისათვის და დიდი მნიშვნელობაც აქვს იმის ალბომს; შიგ ნათლათ არს გატარებული ის აზრი, რომელიც აქამდისაც ვერ შეუთვისებიათ უცნო ტომთა: რომ ქართველთა ერთ ერთი ვრთია, და არა რამოდენიმე პატარა ვრთი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ერთანეთში; ეს ალბომი კი ცხადათ ამტყიცებს, რომ თუმცა სხვა-და-სხვა გვარმა ისტორიულმა და ბუნებრივმა გარემოებამ და კანონებმა ცოტა შეცვალეს საერთო ტიპი საქართველოს ერისა, მაგრამ მაინც ქართლელი, კახელი, თელშ-ფშე-ხეცსურელი, ინგოელი, იმერელი, გურული, მეგრელი, სვანი, აჭარელი და ლაზი ყველა—ერთათ შევადგენენ ერთ გაუყოფელ, ერთ სისხლხორცს და ერთ ენაზე მოლაპარაკე ქართველთა ერს.

სამწუხაროთ სურათები ცოტა ვერ შევფერება ამ საქებურ განზრახვას. ყოველ შემთხვევაში ვფრჩხეთ ბ-ნ როსტომაშვილს დაფიქროს თავის ალბომი რუსეთის და საზღვარ-გარეთელს რედაქციებს, რათა მათ შეცვალონ ცოტ წარმოდგენა, რომელიც აქეთ შედგენილი საქართველოს ერზე.



დალესტნის მცხოვრებლები ახალ სარწყვე რუგებს ითხოვენ. ჩვენ ვაფიქვთ, რომ დალესტნის სამხედრო გუბერნატორს კიდევაც აღუძრავს კითხვა იქაც დააფუძმონ კაცასის სარწყვაი დაწესებულება.



გაზეთებიდან შეიკტყეთ, რომ კაცკასის შემთავარმართებლის თანამშემუთ დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ფრეზე, რომელიც წარსულ წელს ყანდარშთა შვიფის თანამშემუთ იყო.



\* \*

დღეს, კვირას, უნდა აკურთხოვ „ნაძალადეში“ სამრევლო სკოლა. ეს სკოლა თბილისში მეთოთხმეტე იქნება. ყმაწვილები ქალ-ვაყენ უკვე სამოცამდე მოგროვებია, ამითაა რუსი სკოლა, დანარჩენი სულ ქართველები არიან. იმედია, რომ გონიერული სწავლება თავის ნაყოფს მოიტანს.

\* \*

საცა საქარას სამყნო არის გამართული, დაბა ყვირილას ახლოს ბატონი სტარასელსკი აპირებს თებერვალში კითხვების გამართვას და უნდა შეასწავლოს ტენიკურათ და პრაქტიკულათ ყველას, ვინც ბაღოსთან მისდევს, ამერიკული ვაზის დამყნა; ამიტომ ბატონი სტარასელსკი თხოვს ფილოქსერის კომიტეტს, გამოიგზავნეთ თანამშემწე აგრარონომი ბატონი ლუპანოვიჩი. საინტერესოა შევხვეყათ ან თითონ სტარასელსკი და ან ბატონი ლუპანოვიჩი რა ენაზე აუხსნის ხალხისთვის ვასაგებათ ვაზის დამყნას. ნება ეიცოდეთ ნუ თუ ქართველი აგრარონომი არ მოგვეპოვება?

\* \*

რა უცნაური ამბები არ მოხდება ჩვენ დალოცვილ ქალაქში. მასწავლებელი საზოგადოების წევრნი საზოგადოთ ისეთი თავდაქრილინი და მორიდებულინი არიან, რომ როდესაც მათი „საზოგადოების“ სასარგებლოთ მართავენ კონსერტს და ან წარმოდგენებს, ვერც კი ბედავენ თავიანთ ნაწილებს მიყიდონ ბილეთები. ხშირათ მოხდება, რომ „მასწავლებელი საზოგადოების სახელობით სხვადასხვა გამგებრა პირები ავროებენ ფულებს. ამ ცოტა ხანში შეიძლება რომ ერთი ახალგაზდა ქალი დადის შემძლე ოჯახებში „საზოგადოების“ სახელობით თხოვლობის ფულს ვითომ და ერთი მოსწავლე ქალის მაღალ კურსებზე ვასაგზავნათ. ამ ქვათ პოლიციას ხელთ აქვს ნაპოვნი სია იმ ქალისა, რომელსაც ამ გვართ მოუკროვებია თორმეტ-ცამეტი თუმანი, როგორ მიანებს პოლიცია იმ ქალს, ვინ იცის!

\* \*

ოთხშაბათს, 12 თებერვალს, დანიშნული ბენეფისი ჩვენი საუკეთესო მსახიობისა, ელ. სარდლიანის ძის აღუქსიე-მესხინიშვილისა. იმედია, საზოგადოება თანაგრარონობით მიეგება ამ მსახიობის ბენეფისს და ღირსეულათ დაუთავსებს მის ნიქს და ამდენი ხნის მოღვაწეობას.

### „კვალის“ კარგისაზღვრები.



ოსაკაჟობი. საქართველოს კუთხეში ვერსად ვერ იპოვით ისე გონებრივის მხრით ჩამორჩენილ დაბას, როგორც ჩოხატაურისა.

ისე ვაივლის სუთი-ექვსი წელი, რომ აქაურები ვერ იხილენ, რაიმე საქველ-მოქმედო მიზნით გამართულ საღამოს. სამაგიეროთ მოვეცათ ლხენა აქაურები დროს რიხიანათ ატარებენ კარტის თამაშში და ლოთობა-ოინბაზობაში! ამით კი მიღიარე გავლასთ ჩვენი დაბა, ვერც ერთი გურიის დაბა ქალაქი წინ ვერ ჩამოუდგება ჩვენ ჩოხატაურს. იმასაც ნუ იფიქრებთ მკითხველო, რომ ამ ლოთობაშებში ადგილობრივი პოეტებაც არ ვართან, რომლებიც თავმოწონებთ გაიძახიან:

დალიე დამაღვიენე,  
ქუთას მოვალ გონებას,  
ქეიუბა მირჩენია,  
მილიონის ქონებას...

ჩოხატაურლების ასე გონებრივთ ვალტაკება უფრო მით არის სამწუხარო, რომ აქ ბევრი იყოფება მკვიდრი თავად აზნაურობა; სხვა რამ არა იყოს-რა, არის მრავალი დაწესებულებანი. მგავლობათ: „სამსაჯულო განყოფილება, ფოსტა, სააქციო განყოფილება, და საეკონომიკო ერთი ექიმის ზედამხედველობით და ოთხი ფერშლებითა. აქვე იყოფება სკოლა, „ბიბლიოთეკა“, და რასა გვხვდათ იქ, სადაც ამდენი დაწესებულება! სადაც დაბას აშენებს ქვიჯკირის მაღაზიები?! ნუ თუ ორ წელიწადში ერთხელ მაინც არ უნდა იმართებოდეს ქართული წარმოდგენა ან რაიმე საქველ-მოქმედო მიზნით სალიტერატურო საღამო, რაც ძლიერ ადვილი მოსახერხებელია და სასარგებლო მიძინებულ საზოგადოების გამაფხიზლებლათ? მაგრამ ამას ხომ შრომა უნდა, ენერგია და თან სიყვარული საქმისა. ასეთი აღმიაზნები ქალიგენის ფანრით საძებრია ჩვენ დაბაში.

ზემოთ მოიხსენიებთ რომ ჩოხატაურში სამკითხველო არსებობს. პატივ-ცემულ პირთ რაც დააარსეს ეს სამკითხველო, მას შემდეგ ვარემ პირებთ არავითარი შემწეობა არ აღმოუჩნიათ. მეტათ ვასაკცხა არიან აქაური ვაჭრები, რომელნიც არც შემწეობას აძლებენ ამ კეთილ საქმეს და არც ერთხელ შემბრებულან სამკითხველოში. ისევე მუჟ-რა, უბრალო ხალხი ეწაფება ამ გონებრივ საზრდოს. სხვათა შორის ერთ ვაჭართაგანს ეკითხე: — მისაკო! რა მიზეზია რომ თქვენ ვაჭრები, შემწეებულა კაცები, სამკითხველოში არ დადხართ, და ერთი სტრაქონი ვაზეთისა არ წავიკითხეთ-მეთქი! ამ ჩემ კითხ-

ვაზე, ბ. მოსიკომ დაცუნივის კილოთი გაიღმა და ასე მიასახა:—ეგ თქვენი საქმეა ატაქუტა ხალხისაო, მღ ვაჭარი ვარო, აი ჩემი სამკითხველოა,—და ამ დროს აკოცა რკინის ალაბს. მწარებთ ჩამაფიქრა ამ ვაჭრის სიტყვამ ჩვენი ხალხის გონებრივ ვალატაქებაზე და მომავლანა ერთი შემთხვევა:

ამ ნახევარ წლის წინეთ სასლვარ ვარეთ ვახლდით დასავლეთ ევროპაში, სახელდობრ „ვენაში“. ერთ შენიერ დილას გამოვედი ჩემი სადგომიდან და მინდოდა ჩამდენათაუ შესაძლო იქნებოდა მენახა ეს დიდებული ქალაქი. ჩასაკვირვებლოა, ბევრი რამეების ხოლმეა ძლიერ გამაყივრვა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ უფრო მეტათ განამკვიფრა: ორი ძალი ენა ერთ მარხილში, და მოაქროლებდენ რალაცას. ამ დროს რალაც მიზნის გამო მემარხლე ბიჭმა, რომელიც ძალებს მიუძღოდა, უცებ შეაჩერა მარხილი, ჩამოჯდა ზედ, ჯერ ერთი ვახეთი ამოიღო ჯიბიდან, მერე მეროვ, მერე მესამე, და ბოლოს ერთი დიდი ნახატებიანი ყურნალიც „დიდი ენა“, კითხა ცოტა ხანს ბოლოს დაკეცა, ჩაიღო ჟიბეში, შემოაუძახა თავის გაწერთენილ ძალებს და მოჭკურცხლა თავის ვახზე. გაიხედე ერთ ქუჩის მოსახვევში, ოჯდა მეტლელ თავის ალაბას და კითხულობდა ყურნალს. ეინ ვნებავსთ რომ ვახეთი არ ეჭირას ხელში? ვაიარე საქორეშიაო ბაზარში, დიდრონი სახლებს ოდენა ქაღალციბია ვაშლითა, და მის ქვეშ ვაჭრობენ ლამაზი დედაკაცები, სუფთა დი კახტა ტანისამოსით ჩაქმული; უჭირავსთ ვახეთი ხელში და კითხულობენ, თუ ეინმე მუშტარს დაინახენ, ვახეთს ჯიბეში ჩაიდებენ და მიწოდებენ საწოვავს. უვახეთით მათი ცხოვრება შეუძლებელია. ნემენცს ნუ ავუმეო არ დღეს, მოითმენს, ხოლო ვახეთი რომ არ წაიკითხოს კი ვერ შეძლებს.

გული მომწამლა, როცა ჩვენი ქართველების დახვეწებული ცხოვრება შევადარე იმ დიდებულ გონება გაბრწყინებულ ხალხის ცხოვრებას.

კიდევ ორიოდ სიტყვა აქაური საფოსტო განყოფილების შესახებაც: როგორც უწყის მკითხველს, ნახატურში ორჯელ მოდის კვირაში ფოსტა, თუმცაღა არც ეს არის საქმეა იმდენი მრავალი ხალხისათვის, რამდენიც აკრებს ჩონატურის, მაგრამ ამითაც უწყაფილერი ვიწმინდის, რომი რიგინათ მიჰყავდეთ თავიანთ საქმე ვისაც ჯერ არს. მოვიყვან მაგალითს, თუ, როგორც ეპყრობა აქაური საფოსტო განყოფილება საზოგადოების მოთხოვნილებათ. ერთ მა ობოლმა ვაჭმა ს. ბ —მა თავის ქერიე დედას გაუჯანა მვერლისთინ 2წ მანეთი დეკემბრის 20 რიცხვებში; გაედა დეკემბერი და ცხრა იანვარი ვახლდით 1897 წლისა, მაგრამ საბრალო ქერიის ფული არ მიეღო, მვერე კი ჩანვაღზე აგებდა. მე, ამ სტრი-

ქონების დამწერს, მომიხდა იქ ყოფნა და ქერიის გაუწყე, რომ ფული კარგანაა გამოვიგზავნა შეიღმამეტქმი. საბრალო ვაიქცა ფოსტაში და აღმოჩნდა, რომ ფული საფოსტო სახლში ინახებოდა. ჩონატურის ობოლს ვახზე მუხლამდე ტალახებია, ეტლებით მოგზაურობა ძლიერ ძნელია, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს.

ლ. ჩოსატაქუჯელი

\* \*

მიწის-ძვრა ქ. შუმხაში. 24-ს ამა იანვარს, 11-ს საათზე და 8 წამზე შემახაში და მის მახრაში მოხდა მძლავრი მიწის ძვრა, რომელიც ვაჭრედლდა 20 - 30 წუთამდე. ბევრი სახლების კედლები დაინგრა, ბევრ სახლებს მინები ჩაუშტერია და სხვ. ძალები და სხვა პირუტყენი დაზარადენ და ყმოდენ; მცხოვრებნი ვარეთ გამოქვინდენ. მოხუცი ჰკერობდენ და ამბობდენ, რომ ამ ვარ ხანგრძლივი და სასტიკი მიწის ძვრა იშვიათათ თუ მომხდარაო. მიწის ძვრა ერთ დღეს არ გათავებულა, ოთხი დღის განმავლობაში დღე გამოშეებით, იძვროდა ხოლმე, თუმცა იმდენათ მძლავრათ აღარ, როგორათაც პირველ დღეს. ხალხს ეჭვი აქვს, ვაი თუ ახს ცული შედეგი ჰქონდეს! თუ ვარისებენ რომ 30—35 წლის წინეთ მიწის ძვრამ შეიშახა თითქმის ერთიანათ დანგრა და ბევრიც იმსხერაღლა,—მაგონი შიში უსაფუძელო აღარ იქნება. მიწის ძვრისგანეე ორგან ვასკდა კედლები აქაური მარხმადიდებელი ეკლესიისა, რის გამოც კვირას, 28 იანვარს, წირვა ვერ მოხდა. როგორც თქვეს, იქნება ეკლესია სულაც აღარ გამოდგეს.

გ. საღარაძე.

\* \*

თანეთი. წარსული წლის „კვალის“ 47 №-ში მოხსენებული იყო, რომ ეითომ თიანეთის სავაქრო ამხანაგობას მოგება ჰქონოდა წლის განმავლობაში სულ ხარჯიანათ 442 მან. და 5წ კ. რაიცა ნათლათ ჩნდა ამხანაგობის გამგობის მიერ წარმოდგენილ წლიურ ანგარიშიდან; მაგრამ როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ეს მოგების რიცხვი გამგეობამ აღბათ იმითომ მოაჩვენა ამხანაგობას, რომ მითომ და ამხანაგობას ბეჭი მოგება ჰქონიაო.

წარსულ წელს, 15-ს დეკემბერს საზოგადო კრებას მოახსენა რეგუზის კომისიამ, რომ ამხანაგობას დეპოს დაარსებიდან გაუყიდნია 7500 მანეთის საქონელი და წმიდა მოგება კი ჰქონია ხარჯს გარდა 82 მანეთიო.



საზოგადოებამ ეს მოგება ძალიან იცოტავე, რადგანაც უფრო მეტს მოელოდა, ამიტომ ეს ანგარიში არ მიიღო და მოითხოვა წაეკოხათ დეპოს და არსებიდან პირველი რევიზიის დადგენილება, საიდანაც აღმოჩნდა, რომ პირველ ოთხ თვეში დეპოს და არსებიდან საეპორო ამხანაგობას წმინდა მოგება ჰქონია ხარჯს გარდა 120 მანეთი. (სად ოთხი თვის 120 მან. მოგება და სად ცამეტი თვის 82 მანეთი.). ამის მნახველი საზოგადოება ეჭვში შევიდა და ხელახლათ დანიშნეს ახალი რევიზია. მაგრამ საუბედუროთ რევიზიის კომისიამ ჩვეულებისამებრ ყუის ბალიშზე მიღო თავი, ერთი ალთას წაიღო მეორე ბალთას და წარსულ, 26 დეკემბერს დანიშნული რევიზია ჯერაც არ გათავებულა, რის გამოც ამხანაგობა სასოწარკვეთილებას მისცემია და მოუთმენლათ მოვლის მათ გარდაწყვეტილებას.

არ ვიცით ამ ერთ თვეში რით ვერ იანგარიშეს; თუ რომ ეჭვი აქვთ ვიხედვე რაღას ელიან და დროით არ მიიღებენ ღონის ძიებას!

ისევ ის წიგრი.



გურია. დიდს ვასპირში ერთ ჩაერღნილი სამი-ოთხი საზოგადოება ნიგოართის მთაზე გადასვლა-გაღმოსვლით. უკუზაობის გამო ავერ რამდენი წელიწადია დაწყებულია ამ გზის კეთება; ნახევარი ვაკეთებულა, მაგრამ ნახევარს არა ეშველარა.

ხალხის მისვლა-მოსვლა შეჩერებულია. არავინ უყურადღებებს არ აქცევს და ეიხზობით სწორეთ ტალახში, ცხენით ვერ გაივლით, რადგანაც ერთი ფეხი რომ გადაცილდეს, კაცო ვერ იპოენის ვერც ცოცხალს და ვერც მკვლარს, ვერც ურემი გაივლის და ასე ვიტანჯებთ ამდენ მცხოვრებლები: თუ დროზე არა უშველესრა, იმ ნახევარსაც თოვლის ზეფი ჩაიტანს ხრამში გზას და ხელ-შეორეთ გასაკეთებელი გახდება.

კარგს იხამდა ბატონი ბოქაული ჯაფარიძე რომ ამ ფრიად საკირო საქმეს ყურადღებას მიაქცევდეს. ეინ არ იცის თუ რა ხელს უშლის აღებ-მიცემობის წარმოებას უგზობობა?

დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში პატივცემულ არ. წ—ძეს, რომელიმაც გამოუთქმელი ტანჯვა-წვალება გამოიარა და სირცხვილია რომ ჯერ კიდევ ვერ ვეღირსეთ ამ მის მიერ დაწყებულ საქმის დასრულებას. მივაქცევთ ყურადღებას ეისიც ჯერ არს.

კ. შკელაძე.

კ ა ლ ა მ ს .



იღვე დაწერე კალმით, მომკვი შევა გულისა და მოისმინე სვედები მიუდისკან დანაგრულისა.

შენ ხარ წაძლი მარდის დაწველუებული გულისა და მისთვის გთხოვ ისმინო გუდრება მოხანულისა:

დამხვარ, ბუღმა მიშუსთლა დაწველ ბუდრუელი ობლათა, გის ეუთხრა გულის გარამი, გის აღვარო მშობლათა?


მსოფლით შენ ხარ ქადაღლო მს შეკოპარი მფარგული, შენთან გაყოფივამ თამამთ რაღა მაქვს გამოსათქმელი.

და თითქო მამის ეს გული შეგებს შოკოლას, მშუდლებ, და შენგეს ვამით ფიქრები განქრება, განიფანტება.

ამგვართ სიერმით აქამდინ ასეა ჩემი ცხოვრება, წავიდა, აწ სიფაწვილენ დღეს შესამთ მომავონდება.

და ასლა, სუფლით ობლადი, კული სამარეს მსხნელათა, სამშობლოს შვილი იქ მივაღ, ის იყოს ჩემ მფარგულათა.

მშველო, შენსა ტრფილას შენ შეყოლება მგველათა; აქ განწირული ბუდისკან მივაღ იქ მოსაღსენათა.



გამიტანს სამშობლოს მიწა  
ჩემი აღმზრდელი მშობელი,  
ჩემი მოძველები სიცოცხლის  
ბედით კი დამისხილები

—  
შენი ჭირბიე მამკლავ,  
შენი ვარ, შენთვის მოგვეკვები,  
ავიტან უოველ წამებს  
შენ მტერს უშიშრით შევსვლები.

—  
ცუტსღმი დავიწვა, რამკავ  
თუ კი შენ ამივეკვადები  
და დედა მიწის ზურგზე  
ცთამდინ ამომადლები.

—  
მშინ განვლილს ვაბას  
სულ დავიწვებ ვედას,  
გარდავმნები მკორეთ  
ვიწვებ გალობა მღერას.


—  
გაწვეტილ სიმებს ავაბამ,  
დავიწვებ ჩნგის უღერას,  
დედ მარად შენსა სვებრით  
არ დავწუნარებ ენას.

გნ. ნინო ორბელიანისა.

ტრანსვაალის რესპუბლიკა.


**მ**ველაზე უფრო მძლავრი და შემძობელი  
ერი—ახლა ინგლისი არის; წლითი წლობამ-  
დე აერელებს ის თავის საზღვრებს, ყოველ  
ზღვაზე დაფრილობს მისი დროშა, ყოველგან სულ  
ახალ-ახალ ადგილებს ეძებს დასამკვიდრებლათ; მაგ-  
რამ ამ უკანასკნელ დროს კი ბედმა უმუხბთლა; მაინ-  
დომა ენციტელას დასაკუთრება, წინ შეერთებული  
შტატები ალუდვა, მოიწადინა ეთიომ და სომხების  
მფარველობა, იმ იმედით, რამეს გამორჩენილად სა-  
თათრეთს—აქაც არ დაცალეს ევროპის სხვა-და-სხვა  
სახელმწიფოებმა, ბოლოს გადაწყვიტა, სამხრეთ ამე-  
რიკაში მაინც გამეფებულყო, და აქაც დამარცხების  
მეტი ვერა ნახარა; ეს უკანასკნელი დამარცხება მით  
უფრო სასიოცხოა, რომ ინგლისის წინააღმდეგი უბ-  
რალო პატარა ადგილების რესპუბლიკა ტრანსვაა-  
ლი იყო.

ტრანსვაალის მცხოვრებნი—ბურები (ჰოლანდე-  
ლი გლეხები) არიან; ინგლისელების დაუძინებელი  
მტრები—ბურები შეუწყვეტლათ ებრძვიან მათ თავის  
პატრიარქალურ წეს-წყობილების დასაცავათ. ბრძო-  
ლა ამ საუკუნის დასაწყისში ატყდა. ინგლისელებმა  
წაართეს ჰოლანდელებს კაპის კოლონია; ჰოლონ-  
დელებმა არ ისურვეს ახალმოსულებს დამორჩილე-  
ბოდენ და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისაკენ წავიდენ,  
კაფრების ნატალში, სადაც თავისუფალი რესპუბლი-  
კა დააარსეს. ინგლისელებმა დასახლება აღროეს და  
მერე კი გამოუტხადეს, ნატალი ჩვენი საკუთრება



ქალაქი პრეტორია.






ქალაქი იოჰანესბურგი.

არისო. ბურგები არც ახლა დამორჩილდნ. აიყარეს თავის ბარგი-ბარხანა, წაართვეს მკიდრ მცხოვრებლებს მიწა შიგ შუაგულ აფრიკაში და იქ დასახლდნ. ჯერ დასახლებაც ვერ მოასწრეს, ინგლისელებმა გამოუცხადეს, ეს ადგილიც ჩვენ გვეკუთვნისო. ერთხელ კიდევ აპირებდნ ადგილის გამოკვლას ბურგები, მაგრამ დაინახეს რომ გარშემო ინგლისელები შემოსახლებოდნ და ნებასაც აღარ აძლევდნ, სხვა ხალხთან რამე კავშირი ჰქონოდათ. ერთი და საშუალება დარჩათ და იმას მიმართეს: მათ გვერდში პორტუგალების კოლონია იყო და ამ კოლონიის შეწყობით მიმოსვლა გამართეს სხვა სახელმწიფოებთან. მაშინ გაჯავრებული ინგლისელები თავს დაესხნ ბურგებს და 1878 წელს დამარცხეს, მაგრამ 1881 წელს ბურგები ისევ განთავისუფლდნ და 1884 წელს ისევ თავისუფალი „გლეხების რესპუბლიკა“ დაარსდა.

მოულოდნელათ ტრანსვაალში ოქრო გამოჩნდა და მაშინვე სხვა-და-სხვა გვარი ხალხით, უმეტესათ ინგლისელებით, აივსო. ამ მოსული ხალხის, აეიტლანდერების, რიცხვი ისე გაჩაჟელდა, რომ თითონ ბურგებს გადააქარბა და მათმა ქალაქმა, იოჰანესბურგმა რესპუბლიკის უმთავრეს ქალაქ, პრეტორიას,

აჯობა. მაგრამ ბურგებმა მათ არაერთი მოქალაქეობის უფლება არ მისცეს ტრანსვაალში; როცა ეიტლანდერების დებუტატამ ამ თხოვნით მიმართა ტრანსვაალის პრეზიდენტ, კრიუგერს, მან აჩვენა მის სახელზე აფრიალებული დროშა და უთხრა: — თქვენი თხოვნის ასრულება იგივე იქნება, რაც ამ დროშის მოგლეჯა და გადაგდებაა. მაშინ ინგლისელებმა გადაწყვიტეს, რევოლუცია მოეზინათ; ერთხელ კიდევ შეიგბოდნ ტრანსვაალის მცხოვრებლებს, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს; ერთი რომ ბურგები თავკამეტებით იცადნ თავის რესპუბლიკას, მეორე — ეიტლანდერებს შორის მყოფი გერმანელებიც მათ ეხმარებოდნ, რადგანაც ინგლისის გაძლიერების ეწინააღმდეგეობდნ. ტრანსვაალელებმა გაიმარჯვეს და დაატყვევეს 500 ინგლისელი და მათი წინამძღოლი ჯემსონი; ცოტა ხანს შემდეგ ჯემსონი და მისი მომხრეები, როგორც მემბოზენი, ინგლისის სასამართლოს დანებდნ, ტრანსვაალის რესპუბლიკა კი ისევ თავისუფალ „გლეხების რესპუბლიკათ“ დარჩა.



ნიკოლოლაზ ბარათაშვილი და მისი დრო.

„დამჭროლა ქარან სასტყამბ, თან წარმოტყა ყვაგილი...“  
ნ. ბარათაშვილი.

(წარ. ლი შესაქე \*)

**წ**ვენ გაკვირთ გვერნდა აღნიშნული ნ. ბარათაშვილის წინეთ ყოფილი ქართული პოეზიის ხასიათი. აქ დავეუბრებთ, რომ მუსიკალური მზარეც პოეზიისა, ქალების „ეშხისი“ დამთვრალ მოზარეთა მიერ სიმღერების თხზვა, ჰარმონიულად სიტყვების ასხმა და მეტრიკული სიმწვენიერ ლექსთა ძველებურ ქართულ მგოსანთათვის წარმოადგენდა ერთს უმთავრეს და ძირითად მოთხოვნილებას, არა თუ მარტო ლექსების თხზვის დროს, უბრალო მუსიკისა და დარბაზის სუბრის დროსაც. ვინც ამ მოთხოვნილების დამცველი და განმანორციელებელი იყო, იგი მიიწინადათ პირველ მჭვერ-მეტყველათ, შესანიშნავი სიტყვა-პასუხის გამოამთქმელათ და უპირატეს მგოსნათაც, რომელსაც დიდი პატივი და სახელი ჰქონდა დამსახურებული მაშინდელ საზოგადოების უმაღლეს წრებში. საგანი და შინაარსიც ამ გვარ მგოსანთა პოეზიისა იყო ხორციელი სიყვარულისა და ტრფობის, ნამდვილი „ეშხისი“ ღირსი, ღირსი ქალის ფიზიკური სილამაზით და ტკბობის სურვილებზე და გაჯაკობის, ლხენის აღტაცებულ შეგებაზე გადამკვდარი. მთელი საპარსული პოეზიაც, რომელიც აძლედა ტონს, შინაარსს და მიმართულებას მაშინდელ ქართულ საერო ლიტერატურას, შეიცავდა ამავე საგანთა გარემო მუღმრეს ტრიალსა და აღერს. სულის განმავაჟიზებელი მორალონი გრძობანი, მალალი ზნეობრივი შეხედულობანი აღმიაზნე, განეთარებული, შეერთებული ფიზიკური აზრისა და ფიქრების წარმოადგენანი და იქნებ სრულიად უცნობ ხილს წარმოადგენდა ამ ღირსსა და გამოკალიერებულს ლიტერატურის ესტეტის მიდამოებში. სხვაგვარი პოეზია იმ დროში წარმოადგენელიც იქნებოდა, რადგან გარემოება არ უწყობდა ხელს, არა თუ აზიას, ევროპასაც კი...

მაგრამ ნუ დავიფიქრებთ, რომ საპარსულ ლქართულ პოეზიის მიდამოებშიაც მოიანხება ხოლმე, ვით ერცულ და გადახმარს უდაბნოში — ოაზისებში, მეტათ ძვირფასი და მდიდარი მარგალიტები. და მთელი ქართული კლასიკური საერო ლიტერატურა წარმოადგენს მხოლოდ ერთთ ერთ მაგალითს —

„ვეფხისტყაოსანს“, რომელიც თავის საერთო დედაზრით განშორდა მაშინდელ გამოკალიერებულ ქართული ლიტერატურის ესტეტის ფარგალს, და მთელი ერის სულიერ აგებულებაზე დიდი ზედმოქმედება და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა საიდან წარმოსცდა ასეთი ახალი და ცხოველი ნაკადული? ჰქონდა მას სათავი და დასაბამი სადმე უცხო, თუ ჩვენი ერის საკუთარ ცხოვრებაში? ეს საგანი ამ ქაშათ ძნელი გადასწყვეტია და ჩვენ სიფრთხილ და გამოკიდობება ნებას არ გვაძლევს, სხეების ფეხის ხმას აუყვით. მხოლოდ ორი გარემოება კი ნამდვილ ისტორიულ ფაქტთ უნდა მივიღოთ. ერთი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მალა ზეციდან არ მოველინებოდა ქართველობას; მეორეც ისა, რომ „სულამნათი“ რუსთველის შემდეგ, ამოდენ ისტორიის დრო-ჟამის მანძილზე, მხოლოდ და მარტო პოეტი დაეით გულამიშვილის ქნარი შეეცო თავის თანამედროვე ცხოვრების უბედურ ყოფისა და „ჟამთა სიამეს“...

ახლა კი, მთელი ამ მეცნარამეტე საუკუნის განმავლობაში მამზობლო ლიტერატურის არე-მარეზე ჩვენ გონებას იპყრობს მხოლოდ ორი დიდი ორიგინალური მგოსანი. ერთია

„უკუით ურწმუნო, სულით უნდო...“

ნ. ბარათაშვილი და მეორე — აკაკი წერეთელი. აკაკის შესანიშნავი, ტურფა ლირიკა გამსვეალულია მთელი ჩვენი ერის ცოცხლის მოტყეობით. და იმისი ლექსთა ყვაული იმიტომაც მოქმედობს ასე ძლიერათ თვითთველ ქართველზე და მის ესტეტურ გრძობებს ისე საუცხოვრათ ამკაყოფილებს, რომ აკაკი თვით წაგაგს ქართველობას. განსაკუთრებული, ორიგინალური თვისება აკაკის ქნარისა ის არის, რომ იგი თავისებურათ, ნამდვილ ჯაგისკაჭრათ სულ სხვანაირი გულის-აღტაკებით აერთებს, ახამებს ხოლმე თავის საკუთარს და ჩვენი ერის ანგლოლოსურ, წმინდა ქაბუღერ გრძობათა გულწრფელობას, ალაღ-მართლობას და მასთანავე ღრმა სკეპტიკურს, ბეგრჯელ დამკინაეის და მწარე ირონიით აღსავსე აზრის გამოხატულებას. აკაკი განხორციელებული, წმინდა აღფრთოვანებული დიდი ივერიელის შესანიშნავი ტიპია, რომელიც მთელი თავის არსებით ჰხატავს ჩვენი ერის მხნეობას, ენტუზიაზმს და გმირობას.

მართლაც და, აკაკის პირადი ინდივიდუალური გრძობანი, სურვილები, მისწრაფებანი, საზოგადოათ, მთელი იმისი სულიერი აგებულება, როგორც სარკე, ისე ჰხატავს მთელი ახალი ქართლოსანთა ერის მაჯის ცემას, გულის ნადებს, მწუხარებას და აღტაცებას, სულიერ მზარეს, განურჩევლათ წოდ-

\*) ის. „გაგი“, № 4.



ბისა და სოციალური მდგომარეობის უსწორ-მასწორებისა...

აი, ეს იყო მე აკაკის ეუწოდებ დიდი პოეტი და, ღრმით დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ რომელსამე კრიტიკანს ტუჩებზე უმარობის ღმილი დავხატა. ამ ჩემ კრიტიკანს მე კარგათ ვეცნობ. იგია რუსეთის, აგრე წოდებულ, „კრიტიკის“ დიდი თავყანის მცემელი, რომელიც სალირიკო პოეზიაშიც, როგორც ფილოსოფიურ მშრალს ტრაქტატებშიაც, მხოლოდ დიდ-დიდ, მყვირალა ფრაზებს და იდეებს ეძიებს. მაშინ, ბარემ ახსნი აქვე ჩემ აზრს მართლ... ამ ვაჭბატონისათვის.

მე ისეთს პოეტს ეუწოდებ დავს, რომელმაც შეძრა ჩვენი სულის ქნარი, რომელიც თვისი პოეტური წარმოდგენის ცხოველ-მყოფელის ძალით განშორდა პირად ვიწრო ინტერესების ფარგალს და თავის ნაწარმოებში, ხელოვნურათ დახატულ სურათებთან განახორციელა მთელი ერის მწუხარებაც და აღბატებაც, სულის ცემა და გულის ძვრა. დიდ პოეტს, მიუცილებლათ, ბერისაგან ბევრი რამ საერთო აქვს ჩვენთან, ვიდრე უზარალა მომავლადეს. დიდი პოეტი მთელი ერის კირის და ლხინის თანაბრათ გამოამხატველია:

„...სან ტრეჯებრ ადმაჭფრენს მოწონებით,  
სან გეკლეითა მესხენელში ძებრება;  
მაგრამ უოკელთვის თვისი მოქმედებით  
ის მხოლოდ მაშუქს ემსახურება!“

„გერ შეშინებს მას სოფლის ღელვა,  
მხნეთ მიაგრებს აგი თვის წრფელ ნახს,  
და, გზას უნათებს რა სადმართო ელვა,—  
ის სისწავლიდან ნათლათ გამოჭყავს.“<sup>1)</sup>

დიდი პოეტის პირადობა წარმოგიდგენს შეგერებულობით ერთ გამოხატულობას ყველა სხვა დანარჩენ პირადობისას და გამოთქმისას. და, სწორეთ ამიტომაც, დიდი პოეტის ქნარი მუდამ მოახდენს ხოლმე საერთო შთაბეჭდილებას ყოველ ადამიანზე, განსხვავებულიც რომ იყოს ამ ადამიანების სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების ინდივიდუალური პირობანი. სულ ყოველივერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი კრიტიკანი, იმდღა, იმაში მაინც დამეთანხმება, რომ აკაკის სალირიკო პოეზია ჩვენი ერის ცოცხალი მუსიკის მოტივებია და, სწორეთ ამიტომაც, ეს მოტივები მთელი ახლანდელი ქართველობის სასიმღერო პოეზია შეიქნა... ეს ხომ ფაქ-

ტია და, წარმოიდგინეთ, აკაკი ამ მხრეც რუსეთელს გაუთანწიორდა...

ნ. ბარათაშვილიც, მიუცილებლათ, დიდი ორგინალური ტალანტის მქონი პოეტი. ბარათაშვილი ამ ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში მხოლოდ ერთათ-ერთია განმარტოვებული, რომელმაც თვისი შესანიშნავი ლექსები ღრმით განმსჭვალა თვისი თანამედროვე დიდი ეპოქის ცოცხალი მოტივებით. და, ამნაირათ, ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ იმან თვის საუცხოვო ლექსთა ძლიერათ, მოკლეთ, მოკერით და შესანიშნავი ლირიზმით პირველათ გამოგვიხატა მაშინდელ უპირატეს კაცთა გულის წუხილი და კეჟანი, მხურვალე გრძნობანი და მისწრაფებანი.

ამიტომაც, საქართველოში თითქოს მართალი იგი, „აბლაღ“ არის ეს საუცხარი შეილი ჩვენი ქვეყნისა, „რომელსაც“ საყვირელი „სმა აფუშადა“ ასენია „ჩემ ნაღველად და გულის კირად“ და გულს-საკლავათ დიდი სულისკეთებით ესე აღმოთქვამა:

„ნუ თუ ხმა ესე აწს სმა ღვენისა  
შუქუქალის სინადისისა?...  
მაგრამ მე ჩემში გერ ვაბაგე აჯს  
მის საშფოთაგელს და საქენუნას!  
„...ცინჯა სარ, მარქვი, რას მომისწავებ,  
სიფრცხლეს ჩემს რას განუმხადებ?..“

დიდ, ეს ვახლეთ შესანიშნავი ქართველი კუბუტი, რომელსა „სწორათა, თანაზრდილთა, მეგობართ შორის“ ტოლი აღარ ჰყავს... და ამ საუცხოვო ლექსიდან წითელი ზოლიეთ ვაბმულია გრძნობა უმარობისა იქამდე, სადაც თავდება ლექსნი: „ჩემს მერანს“ და „სულო ბორატოლ“, რომელნიც მწარეთ და სამინელი ძლიერებით აღმოთქვამენ თავის ბედის დიდათ მომდურავ პოეტის განუსაზღვრელ კეჟანს...

მაგრამ ჩვენი პოეტი გერ კიდევ შორს არის „ჩემს მერანს“ და „სულო ბორატომდის“. იმისი ძლიერი გრძნობა თვალ-უწვდენელ ზღვასავით, ხან შფოთვარე და აღღვებულთა, ხან დაღუძმებული, ჩაწყვდიადებული, მყუდრო და ხმა-გაქმენდილია,

„... სან მილას აგრთობს, სან სკვლით ოსრავს,  
სანცა ეოკელს სულს ამხარულეს;  
სან სიგვიდეს იქვეკვ, შორით სან ოგნეს.  
სან ჰვეება სოფელს, სან რათ მიფრინავს!..“<sup>2)</sup>

და ასეთ წუთებში მეგოსანის გულის სიღრმადან

1) „მსახური ჭაღადიგელისადი“, აკაკის. ის. პირველი ტომი.

2) ის. ლექსი ნ. ბარათაშვილის: „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“... გვ. 78.

ანკარა წყაროს წყალივით ვადმოჰხეთქს ხალმე ესეთი დადი განმაცხადებელი პოეტური წარმოდგენა და გრძობა:

„ადიხდა მნათი ადომსაგულს, მზეებერ ცხოველი, მგირითა შუქით გარდუქარ ცხას ღრუბელი, დიდ სამქუსარო, საჯადრო და მეტ გლან გული მსწრფელ განმითუნა, შუა-ბედისაგან დაღამებული! ნუ თუ ადომინდი ცხოვრებისა ჩემის მნათობლად; ნუ თუ შენ ჭფინო შეგების სსივი ჩემს გულსა კვალად; კვლავ ადმიტესო გულის ტირინი, მიფრუებულნი, და განმასლო ნეტარებას დღენი წარსულნი? მასე გამოარწმინდა, მფინე შუქი ეკ საოცარი და განანთლე კვლავ ცე ჩემი ესრეთ სახარო! მეტე ხელი ვეო დაგანგებულს ჩემსა სანთურსა და შეგუერთო ფიქრნი ჩემნი შენს ხმს ციურსა! დეუმდეროთ მას დროს, როს ვარსკვლავი შექნიერის ცით

მინეტარება სიგოკსელის დღეთა სიამით; მოკსთკვამდე, თუ ვით მიმეფარ იგი მსწრფელ ღრუბელს, ბოლოს კუმდრდე შუქსა შენსა, შეგების მომეფენელს! ვფიფე ძელიერს სსივსა შენსა, ჯი მნათო ჩემო! რადეს ეისილო მგირე ბინდი შენს შუქსა გარემო, მუის დამიღამდეს ამ სოფელსა საიმოკუნა და შენთუის დავთმო ტრფობის წინათ უოჯი დავა!“

